

სიტყვა მთიების სემანტიკისათვის

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ გვამცნობს: „**მთიები** ესე არს აფროდიტი, რომელ არს ცისკრის ვარსკვლავი. **მთიები** ითქმის განმანათლებლად [გინა მათენებლად B]. **მთიები**, რომელი ესაიას წიგნში 14,12 წერილ არს, იგი არს მთავარი ეშმაკთა და აწ წმიდათათვის არს სახელი იგი და ადგილი მისი ზეცისა სასუფეველსა ZA... ესე **მთიები** არს აფროდიტი, რომელსა ცისკრის ვარსკვლავად სახელ-სდებენ... (+ **მთიები ზნელი** ეწოდების ეშმაკთ მთავართა, – ესაიას 14, 12 CaB) CD...“ სხვაგან (**აფროდიტის** განმარტებისას) სულხან-საბა ამბობს: „ესე მოვლის სიმრგვლესა ცისასა ერთსა წელიწადსა, ოდესმე ვალს ღამე და ოდესმე დღისით, ოდეს საცისკროდ აღმოვალს, ეწოდების **მთიები**, ხოლო ოდეს სამწუხროდ აღმოვალს, ეწოდების **აფროდიტი** C...“ [სულხან-საბა 1991].

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით **მთიები** არის: „მნათობი, lucifer, ferens auroram¹, „ნათელი“: „...**მთიები** გამობრწყინდეს გულთა თქუენთა“ II პეტრე 1, 19; „**მთიებმან** იცნა თვისი იგი წესი“ M, იობ. 38, 12; „**მთიებისა** წინა გვშევ შენ“ C, ფს. 109, 3. „ვითარ გარდამოვარდა ზეცით **მთიები** იგი“ I, ეს. 14, 12; „შენ აღმოაბრწყინეა **მთიები** ჟამსა მისსა?“ M, იობ. 38, 32; „შჩნდეთ, ვითარცა **მთიებნი** სოფელსა შინა“ ფლპ. 2, 15; „ბრწყინვენ სოფელსა შინა, ვითარცა **მთიებნი**“ A, – „ბრწყინვალე არიან, ვითარცა **ნათელნი სოფლისანი**“ B, სბსტ. 142, 20; „რადთა ვჩნდეთ, ვითარცა **მთიებნი** სოფელსა შინა“ საკ. წიგნ. II, 49, 7... . იხ. თევა“. „**თევა** თენება: „ღამესა ათევადა ლოცვითა ღმრთისა მიმართ“ ლ. 6,12. იხ. განთევა, მთიები, ღამის-თევა“... [აბულაძე 1973].

სიტყვა **მთიების** ეტიმოლოგია გარკვეულია და გაზიარებული საენათმეცნიერო წრეებში: აკაკი შანიძის მიხედვით, **მთიები თე-ვა** (ა-თე-ვ-ს < *ა-თე-ევ-ს) ზმნას უკავშირდება: „ჩვენ გვაქვს ფუძე **თე**,

¹ განთიადის მომყვანი; სიტყვა-სიტყვით: მატარებელი; **აფრორა** [ლათ. Aurora] რომაულ მითოლოგიაში განთიადის ქალღმერთი, შესახაბეზა ბერძნ. ეოსს. განთიადის სინონიმი და სიმბოლო.

რომელსაც ეყრდნობა **თე-ვა** (ა-თე-ვ-ს¹ ღამეს, ღამე გა-ა-თი-ა), გან-თი-ად-ი და მ-თი-ებ-ი² (დილის ვარსკვლავის სახელი), – აღნიშნავს მეცნიერი [აკაკი შანიძე], – ამ ფუძისგან ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ „**განთენა**“ (გან-თე-ნ-ა): „დღე იგი დამწუხრდა და ღამე იგი **განთენა**“ (გრ. ხანძთ. ვ 62)... „მწუხრი შაბათსა მას, რ^ე **განთენებოდა** ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალწეელი“ (მათე 28,1)³ [შანიძე II 1981: 45, 46]. (**თ-** ძირსა და მისგან წარმოქმნილ სახელებთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე, ი. ყიფშიძე, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, რ. გორდეზიანი, კ. დანელია...).

ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია სიტყვა **მთიების** ძველი ქართულის ლექსიკონებში არსებული ურთიერთგამომრიცხავი [კონტრასტული] მნიშვნელობები: ერთი მხრივ: ცისკრის ვარსკვლავი, განმანათლებელი, მოძღვარნი ეკლესიისანი... და, იმავდროულად, მეორე მხრივ: მთავარი ეშმაკთა, მთიები ბნელი... მაგრამ, ეს – მხოლოდ, ერთი შეხედვით: ძველი ქართული ტექსტების **მთიები** – „ეშმაკთ მთავარი“ (სულხან-საბას თქმით, „**მთიები ბნელი**“) ბიბლიური ცოდნის შემცველია და რელიგიური აზროვნების კვალს წარმოადგენს [ეს ცოდნა უნივერსალურია, ის სამყაროს ყველა ხალხის ფოლკლორსა თუ მითოლოგიაშია ასახული ისევე, როგორც წარღვნის ამბავი]:

იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადების“ ანდრია კესარია-კაბადუკიელის კომენტარებში („თარგმანებაში“) [რომლის ქართული თარგმანი ექვთიმე ათონელს ეკუთვნის], ვკითხულობთ:

¹ ასეთი დაყოფა სიტყვისა (ა-თე-ვ-ს, თე-ვ-ა) მთლად სწორი არ არის, რადგანაც აწმყოს მაწარმოებლად ზმნებს ერთი ვინი კი არა აქვთ, არამედ მარცვალი ევ (ა-ჰმ-ევ-ს, ა-სმ-ევ-ს და მისთანანი); მაგრამ, მეორე მხრივ, არც ის იქნება მთლად სწორი, რომ ასე დანაწილდეს: თე-ვ-ა, ა-თე-ვ-ს, რადგანაც „**ათევის**“ ფორმაში ენი პირველად გრძელი უნდა ყოფილიყო, როგორც ორი ერთნაირი ზგერისაგან წარმომდგარი (*ა-თე-ევ-ს).

² ამავე ფუძესთან გენტიური კავშირი უნდა ჰქონდეს ჭან. თე-ს, რომელიც „სინათლეს“ აღნიშნავს (ნ. მარი, ჭანურის გრამატიკა 1910).

³ ასე იკითხება ტბეთის სახარებაში. ამგვარადვე იკითხება ზმნის ფორმა შატბერდის სახარებაშიც... მაგრამ როგორც ჩანს, მაწარმოებელი ნარი თანდათან ეხორცება ფუძეს, რომელიც ამის გამო ახალ სახეს იღებს: **თენ-**. ამ ახალი ფუძისაგან ნასახელარი ზმნის წარმოებისათვის დონია საჭირო, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ქართულში გვხვდება: იმავე ადგილას (მათე 28,1) ათონის სახარებაში ვკითხულობთ: „მწუხრი შაბათსა მას, რ^ე **განთენდებოდა** ერთშაბათად“ და სხვ.“... [შანიძე II 1981: 45, 46].

„მოციქულისად (26): და რომელმან სძლოს და დაიმარხნეს ვიდრე აღსასრულადმდე საქმენი ჩემნი, მივსცნე მას ჴელმწიფებად წარმართთა ზედა... (28-29): და მივსცე მას **ვარსკულავი განთიადისა**. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყვის სული ეკლესიათა.

თარგმანი: ვარსკულავად განთიადისა ეშმაკსა იტყვს, რომლი-სათუს თქუა ესაია, ვითარმედ: **ვითარ გარდამოვარდა მთიები იგი განთიადისა, რამეთუ ეშმაკსა იტყოდა და აჰაგა წმიდათა ეტყვს, ვითარმედ მისცეს მათ ეშმაკი ქუეშე ფერქთა მათთა შემუსრვად...** [წმ. ანდრია კესარია-კაზადუკიელი 1961].

ეკლესიური სწავლებით, ნათელი თვით უფალია. „ღმერთი არს სული ნათელი, დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა, და დამზადებელი ყოველთა; ღმერთი გამოითარგმანების „წვა და ხედვა“ (სულხან-საბა) [ასევე უნივერსალურია ნათელისა და ხედვის, შემეცნება – ცოდნის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა წარმომავლობა]. ნათელმოსილ არსებებს ასხივოსნებს საერთო წყარო – ღმერთი (ბერძნ. *Teon* თეონ „ხედვა“ < ბერძნ. *Etin* ეთინ „ცეცხლი“)¹. ანგელოზები არიან ხატი ღვთისა, „ნათელ მეორე, საცნაურ, პირველისა ნათლისაგან მქონებელ განათლებისა...“ [იოანე დამასკელი 2000: 76]. ნათლის მატარებლები არიან ანგელოზები, წმინდანები... ბიბლიური სწავლებით, „ქმნილი ყოფიერების არსებობის განთიადზე... ანგელოზების შექმნის შემდეგ სულიერ სამყაროში მოხდა გრანდიოზული კატასტროფა, რომლის შესახებაც ჩვენ ვიცით მხოლოდ მისი შედეგებით: ანგელოზთა ნაწილი შეეწინააღმდეგა ღმერთს, მოსწყდა მას და თავისი მდგომარეობითა და დამოკიდებულებით გახდა მტრული ყოველგვარი სიკეთისა და სიწმინდის მიმართ. ამ განდგომილ მხედრობათა სათავეში იდგა ეოსფორი, ანუ ლუციფერი, რომლის სახელიც (სიტყვა-სიტყვით: „ნათლის მატარებელი“) აჩვენებს, რომ ის თავიდან კეთილი იყო, მაგრამ შემდგომ თავისი საკუთარი ნებითა და „თვითნებურობით დავიდა ბუნებრივიდან არაბუნებრიობამდე, გაამპარტავნდა მისი შემოქმედი ღმერთის წინაშე, შეეცადა, წინაღდგომოდა მას და პირველი მოსწყდა რა სიკეთეს, ბოროტებაში აღმოჩნდა...“ (ღირსი იოანე დამასკელი).

მთიების შესატყვისი ლუციფერი, რომელსაც ასევე უწოდებენ

¹ „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, და ვარსკვლავი **ბრწყინვალე განთიადისა**“ (გამოცხადება 22, 15-20), – ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე.

ემშაკს და სატანას, ანგელოზთა იერარქიის ერთ-ერთ უმაღლეს რანგს მიეკუთვნებოდა. მასთან ერთად განდგნენ სხვა ანგელოზებიც, რის შესახებაც იგავურად არის მოთხრობილი „გამოცხადებაში“: „და გარდამოვარდა ზეცით ვარსკულავი დიდი, მოტყინარე ვითარცა ლამპარი, და დავარდა ზედა მესამედსა ზედა მდინარეთასა და წყაროთა ზედა წყალთასა. და მეოთხემან ანგელოზმან დასცა საყვრსა, დაიწყლა მესამედი მზისად და მესამედი ვარსკულავთად, რამთა დაბნელდეს მესამედი მათი და მესამედი მათი არღარა გამოჩნდეს. და დღე და ღამე ეგრეთვე“ (გამოცხად. 8:10,12). ზოგიერთი განმმარტებელი ამ სიტყვებში ხედავს მინიშნებას იმაზე, რომ მთიებთან (იხ. ესაია 14,12) ერთად ღმერთს განუდგა ანგელოზთა მესამედი. ემშაკი და დემონები საკუთარი ნებით აღმოჩნდნენ ბნელში... „ვითარ გარდამოვარდა ზეცით **მთიები** იგი“ I, ეს. 14, 12. ასე გაჩნდა „**მთიები ბნელი**“...

ბიბლიაში ებრაული სიტყვა לְלִיץ **ჰილეელ** „ცისკრის ვარსკვლავი“ წინასწარმეტყველ ესაიასთან დასტურდება [ეს. 14, 12]. ის უკავშირდება ბაბილონის მეფეს [შდრ.: ეს. 14, 16]. ტერტულიანეს განმარტებით, ეს ფრაზა სატანის ზეციდან გადმოგდებას უკავშირდება. ვულგატის¹ თარგმანებში ამ ადგილას იერონიმე ლათინურ lucifer-ს [„ნათლის მომტანი“] იყენებს lucifer [მისი შესატყვისია: ქართული მთიები, ძვ. ბერძნ. Φωσφοριος ფოსფორი წაოძპრდის ეოსფორი; სლავ. დენნიცა, ზარნიცა], რომელიც ასევე ცისკრის ვარსკვლავის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. იერონიმეს ავტორიტეტმა გამოიწვია ლუციფერის, როგორც სატანის სინონიმის [საკუთარ სახელად] დამკვიდრება, მიუხედავად იმისა, რომ იერონიმე ამ სიტყვას [lucifer] იყენებს არა როგორც საკუთარ სახელს, არამედ – როგორც მეტაფორას. ვულგატაში ამ [მეტაფორის] მნიშვნელობით ის რამდენჯერმეა

¹ **ვულგატა** ბიბლიის ლათინური თარგმანი, შესრულებული ნეტარი იერონიმეს მიერ. თავისი დროის გამოჩენილმა მეცნიერმა, ნეტარმა იერონიმე სტრიდონელმა, საფუძვლიანად შეისწავლა ებრაული და ქალდეური ენები... მან მდიდარი წერილობითი მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას... მათ შორის, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმანები ლათინურ ენაზე. შდრ. „ქრისტიანობის ლექსიკონი“: **ვულგატა** [ლათ. ვულგატა „გავრცელებული“, „ხალხური“] ბიბლიის ლათინური თარგმანი, რომელიც 383-406 წლებში, პაპ დამარეს I-ის დავალებით წმიდა [ნეტარმა] იერონიმემ [სტრიდონელმა] შეასრულა. მრავალი საუკუნის მანძილზე – ვატიკანის II კრების მიერ გატარებულ ლიტურგიულ რეფორმამდე, ვულგატა ლათინური ეკლესიის ოფიციალური ტექსტი იყო (ქრისტიანობის ლექსიკონი, 2016).

ნახმარი, მაგ. იობი 38,32: „numquid producis luciferum in tempore suo...“ [„შენ აღმოაბრწყინეა **მთიები** ჟამსა მისსა?“...]. საგულისხმოა, რომ ებრ. **სატანაც** „მკდომი, ცილისმწამებელი“ თავდაპირველად ზედსართავი სახელი იყო [ის, ვინც წინააღმდეგობია, ვინც ხელის შემშლელია] და შემდეგ ხდება მისი, როგორც საკუთარი სახელის, დამკვიდრება.

სიტყვა ლუციფერი lucifer¹ ლათინური ძირებისაგან შედგება: lux შუქი, სინათლე fero მომაქვს. **ლუციფერს** ემახდნენ პლანეტა **ვენერას**, რომელიც მხოლოდ დილით [ცისკარზე] და საღამოს [მწუხრის ცაზე] მოჩანს. ძველად მას ორ სხვადასხვა პლანეტად მიიჩნევდნენ: რომაელები დილის ვარსკვლავს lucifer-ს ემახდნენ, საღამოს ვარსკვლავს კი – ჰესპერს [ეს სულხან-საბას განმარტებაშიც ჩანს].

ამ ცვლილების სემანტიკურ ანალოგიად შესაძლოა ქართულში დიალექტური **კუმეტი** განვიხილოთ: „**კუმეტი** ძალიან ბნელი... ძალიან შავი... **კვიმატი**¹ 1. ავი, ბოროტი, უკუღმართი, ფათერაკიანი... 2. მოსწრებული, ენამახვილი... 3. ავი ბედი, ბედისწერა... **კვიმატი**² 1. ძვ. იგივეა, რაც **კომეტა**. ათასში ერთხელ ცის ტატანაზე **კვიმატი** გამოჩნდება ხოლმე, ყოველ მთიებზე უფრო ბრწყინვალე, სხივმგენარი, საოცარ კუდს იკეთებს, ანათებს ერთხანს და მერე უეცრად გაქრება, გაუჩინარდება (აკაკი)...“ (ქეგლი IV, 1955). **კუმეტი** „ხალხური ახსნით **კუმეტნი** შავი არსებანი, ბოროტი სულები, ეშმაკები არიან...“ (ივ. ქეშიკაშვილი, 1990: 114); **კვიმი** კუთხ. (გურ. ქვ. იმერ.) სქელი, დახვეული კვამლი...“ ცნობილია, რომ **კუმეტი**//**კვიმატი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან **კომეტა**. „**კომეტა** [ბერძ. kometes კუდიანი] ვარსკვლავის მსგავსი ცის სხეული, აქვს ნათელი ზოლებისაგან შემდგარი „კუდი“, დროდადრო გამოჩნდება ცის ტატნობზე...“ [ქეგლი IV, 1955].

ხალხურ მეტყველებაში კომეტას **კუდიანი ვარსკვლავიც** შეესატყვისება. სულხან-საბას მიხედვით: „**კვიმატი** – ბოროტი ჟამი, გინა **ბოროტი ვარსკვლავი, კუდოვანი** და მისთანანი“ [სულხან-საბა 1991]...

¹ „**ლუციფერი** (რომ.) [ბერძ. eosforos ეოსფოროსი ან fosforos ფოსფოროსი – მანათობელი, სინათლის მომტანი]. 1. განმაზოგადებელი მეტსახელი იმ ღვთაებათა, რომლებიც ზევით მნათობებს განასახიერებდნენ: დიანასი, ეოსისა და სხვათა. 2. ლუციფერი ერქვა შუა საუკუნეებში სატანას. 3. ლუციფერს უწოდებენ ცისკრის ვარსკვლავსაც (პლანეტა ვენუსს), როგორც ახალი დღის მაუწყებელს“ [მითოლოგიური ენციკლოპედია 2003].

საინტერესოა ვიქტორ ნოზაძის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ვარკვლავთმეტყველება“ დამოწმებული მითი [ერთგვარი მეცნიერული ახსნა] ვენერას წარმოშობის შესახებ: „როგორც ვნახეთ, გველეშაპის, ანუ გველისა და მზე-მთვარის ურთიერთობა დაბნელების საკითხში მთელი მაშინდელი მსოფლიოს რწმენაშია აღიარებული და დამტკიცებული. საიდან წარმოდგა ეს რწმენა, ამ საკითხს ეხება თავის საინტერესო თხზულებაში „მსოფლიოთა დაჯახებანი“ ამერიკელი მეცნიერი ემანუელ ველიკოვსკი¹ და ამბობს: მთელს მსოფლიოში დიდად მნიშვნელოვანი ღირსების არის გველეშაპი: ხალხთა ხელოვნებაში, მწერლობაში, რელიგიაში. ალბათ არ არსებობს არცერთი ხალხი, რომელიც ამ სიმბოლოს, ანუ უცნაურ ცხოველს, ფრიად მნიშვნელოვან მოტივად არა ხმარობდეს, თუმცა გველეშაპი სინამდვილეში არ არსებობს. ზოგი მეცნიერი ფიქრობდა, გველეშაპი ვით საშინელი რაღაც ცხოველი არსებობდა და იგი მოისპოო, მან კაცობრიობაზე მეტად ღრმა შთაბეჭდილება დატოვა და მას ვხედავთ ჩინურ დროშაზე, ანგელოზ მიქელის და წმიდა გიორგის ხატზე, ეგვიპტურ მითოლოგიაში, მექსიკანურ იეროგლიფებში და ასირიულ ქანდაკებებზე. მაგრამ ამ ვითომდა მოსპობილი გველეშაპის ნაშთის ძვლები არსად არავის უპოვია. ოღონდ ეს გველეშაპი იყო... და იყო იგი ვარსკვლავი კომეტა, ფრთოსანი სხეულით, მრავალი თავით, ცეცხლიანი პირით, ცეცხლიანი კუდით... დაბნელების ამბავი არის ბრძოლა მარდუკსა და ტიამატ გველეშაპს შორის, ოზისსა და სეთს, ვიშნუსა და გველს, კრიშნასა და გველს, ორმუზდსა და აჰრიმანს, ზევესსა და ტიფონს შორის... და ყველაფერი ეს დამყარებულია იმ დიდ ისტორიულ ნგრევაზე, რომელიც გამოიწვია ახალი კომეტის

¹ ემანუელ ველიკოვსკი, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში დაიბადა, როგორც რუსი, ის საბჭოთა მკითხველისთვისაც უცნობი იყო. მსოფლიოსათვის ის ცნობილია, როგორც ამერიკელი ექიმი, ფსიქოანალიტიკოსი და ისტორიის, გეოლოგიისა და ასტრონომიის სფეროში ნეოკონვენციური თეორიების ავტორი. მან ფარდა ახადა ძველი მსოფლიოს ისტორიისა თუ გეოლოგიის ძალიან ბევრ, ბურუსით მოცულ საიდუმლოებას... მაგრამ მის თანამედროვე მეცნიერებს იგი შარლატანად მიაჩნდათ და ლამის კოცონზე დაწვას უპირებდნენ. მხოლოდ შემდგომი თაობების მეცნიერებმა დაადასტურეს მისი ბევრი ჰიპოთეზა... თუმცა დღესაც ბევრი მეცნიერი ძალიან კრიტიკულად უყურებს მის თეორიებს... ემანუელ ველიკოვსკი აინშტაინის თანამედროვე იყო და ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. აინშტაინის გარდაცვალების შემდეგ მის საწერ მაგიდაზე სწორედ ველიკოვსკის წიგნი იპოვეს – შუაზე გადაშლილი [ეზოთერ.].

გამოჩენამ და დედამიწასთან მიახლოებამ 1700-1500 წწ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, და რომელმაც წარმოშვა მზისა და მთვარის დაბნელება, დედამიწის ნგრევა, წარღვნა, ცეცხლის წვიმა, სისხლის წვიმა და სხვა აფორიაქება, რამაც თითქმის მთელი კაცობრიობა იმსხვერპლა, – საშინელი ამბავი, რომელიც ბიბლიაშია აღწერილი. ეს იყო მნათობ ვენუსის დაბადება. ამ უდიდესი ნგრევის შედეგად ვენუსი, იუპიტერისაგან ნატყორცი, კომეტისაგან წარმოიშვა და იგი წარმოდგენილი იყო, ვითარცა გველეშაპი. „იშტარ (ვენუს), საშინელი გველეშაპი“, – წერს მეფე ასსურბანიპალ. აქ აღნიშნული მსოფლიოს ნგრევა-ზეა დამყარებული მთელს მსოფლიოში გავრცელებული თქმულება მზისა და მთვარის გველეშაპის მიერ დაბნელების შესახებო, – დაასკვნის ველიკოვსკი [67; 94, 95, 193, 323]“, – აღნიშნავს ვ. ნოზაძე და შენიშნავს: „არ ვიცი, რამდენად დამტკიცებულია ეს მოსაზრება, მაგრამ იგი მაინც მეტად საინტერესოა“... [ნოზაძე 1957: 145].

ამგვარად, ზემოთქმული ნათლად აჩვენებს, რომ **მთიები**, როგორც „მთავარი ეშმაკთა“, – „მთიები ბნელი“ ქართულ რედაქციაში შექმნილია ნეტარი იერონიმეს ლათინური ვულგატას თარგმანის გავლენით და მკვიდრდება კიდევ ამ მნიშვნელობით ქართულში („ესაიას წინასწარმეტყველებაში“), და – არა მხოლოდ ქართულში (სხვა ენებშიც ასეა).

თუმცა ეს მნიშვნელობა მაინც ძველი ქართულის (ბიბლიური ტექსტის) საკუთრებაა, თანამედროვე ქართულში **მთიებმა** შეინარჩუნა თავდაპირველი მნიშვნელობა („განმანათლებელი, მათენებელი“), ხოლო „მთიები ბნელი“ – „მთავარი ეშმაკთა“ აღინიშნება ქართულში შემოსული სიტყვებით (ლუციფერი, სატანა...). შდრ. გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სასწაულს“: „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ ცოდვილს, ლუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს; ლუციფერს მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს და ახლა მიძინარეს...“

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

მითოლოგიური ენციკლოპედია 2003 – მითოლოგიური ენ-

ციკლოპედია ყმაწვილთათვის, წ. I, ა-ლ, ავტ.: ნანა ტონია, ზ. კიკნაძე, თბილისი.

ნოზაძე 1957 – ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“, გამოცემა ავთანდილ მერაბაშვილისა, სანტიაგო დე ჩილე.

სულხან-საბა 1991- სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი.

ქეგელი IV 1955 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, რვატომეული (1950-1964), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეშიკაშვილი 1990 – ივანე ქეშიკაშვილი, ღმერთები, მითები, რიტუალები, თბილისი.

ქრისტიანობის ლექსიკონი 2011 – ქრისტიანობის ლექსიკონი, პიერო პეტროზილო. იტალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა; რედაქტორი მერაბ ღაღანიძე; თბილისი.

შანიძე II 1981 – აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.

წმ. ანდრია კესარია-კაბადუკიელი 1961 – წმ. ანდრია კესარია-კაბადუკიელი, იოანე მახარებლის „გამოცხადების“ თარგმანება, თბილისი, 1961.

წმ. იოანე დამასკელი 2000 – მართლმადიდებელ მამათა შრომები I, წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი.

ეზოთერ. – ეზოთერიული ცოდნის ფორუმი –
www.esoteric.ge/forum].

Nino Khakhiashvili

On the Semantics of the Word *mtiebi*

Summary

The word *mtiebi* has discordant meanings in the dictionaries of the old Georgian language. On the one hand, *ciskris varsqvlavi* “the morning star”, *ganmanatlebeli* “an educator”, *mozyvarni eklesiisani* “priests” and on the other hand *mtavari esmaqta/mtiebi bneli* “the leader of the devils”. At the first glance, it seems strange but *mtiebi* or “the leader of the devils” (according to Sulkhan-Saba – “*mtiebi bneli*”) in old texts contains the biblical knowledge and represent the remains of religious thinking (This knowledge is universal as it is reflected in the folklores and mythologies of all the peoples of the world like the story of the Flood).

The word *mtiebi* acquired the negative meaning “the leader of the devils” in the Georgian literature under the influence of Jerome’s Latin translation of “Vulgate” and is established in the Georgian language.